07
5-154

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ნადარეიშვილი მაია

პუბლიცისტური ტექსტის კომპოზიცია თანამედროვე ამერიკული პრესის მიხედვით (სათაური, ლიდი, დაბოლოება)

10.01.10 – ჟურნალისტიკა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი
2001

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრესის თეორიისა და პრაქტიკის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი — ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი
ნოდარ ტაბიძე

ოფიციალური ოპონენტები: 1. ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი
ზურაბ კიკნაძე (10.01.09)

2. ფილოლოგიის მეცნიერებათა
კანდიდატი,
მანანა შამილიშვილი (10.01.10)

Библиотека
Тбилисского гос. ...
...ского института
... им. И. Чавчавадзе

დისერტაციის დაცვა შედგება 2002 წლის „22" „II"
„12³⁰" საათზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის დარგის (P10.01.C№5) სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

მისამართი: 380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №1

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.
მისამართი: 380047, თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2.

ავტორეფერატი დაიგზავნა 2002 წლის „18" „I"

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

/ნ. ტაბიძე/

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

-1812-

თემის აქტუალობა. კომპოზიციის ცნება მუსიკაში, მხატვრობაში, არქიტექტურაში, მხატვრულ ლიტერატურასა თუ პუბლიცისტიკაში გარკვეული თავისებურებებისა და ნიუანსების შემცველია, მაგრამ ყველგან წარმოდგენილია როგორც ფორმისა და შინაარსის ერთიანობა. ამდენად, კომპოზიცია ჩანაფიქრისა და გამომსახველი ფორმის მთლიანობის გამოხატულებაა.

გამოკვლევა ქართულ ჟურნალისტიკამცოდნეობაში პუბლიცისტური ტექსტის კომპოზიციის მონოგრაფიული, კომპლექსური, სისტემური კვლევის პირველი ცდაა და მოცემული სადისერტაციო ნაშრომი უაღრესად აქტუალურია ამ მხრივ. საგულისხმოა, რომ მას საფუძვლად უდევს თანამედროვე ამერიკული პრესის პრაქტიკულ ნიმუშთა ანალიზს შეჯერებული იტალიური, ბრიტანული, რუსული თუ ქართული პრესის ნიმუშებთან.

თავისუფალი პრესის პირველი ნაბიჯები, აქედან გამომდინარე დიფერენციაცია დღევანდელი ქართული მედიისა ელიტარულ თუ მასობრივ, სამთავრობო, კერძო თუ საზოგადოებრივ გამოცემებად, ე.წ. „ყვითელ" თუ კონცეპტუალურ, ანალიტურ ჟურნალისტიკად, განსაკუთრებული სიმწვავით აყენებს დღის წესრიგში ამგვარი კვლევის აუცილებლობას. მითუფრო აქტუალურია ამ მხრივ ისეთი ტრადიციული დემოკრატიული ქვეყნის გამოცდილების კვლევა და შეჯერება თანამედროვე ქართულ რეალობასთან, როგორიცაა პრესის თავისუფლების სამასწლიანი გამოცდილების მქონე ამერიკული მედია.

კვლევის საგანი და მიზანი. პუბლიცისტური ტექსტის არქიტექტონიკა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და ურთულესი საკვლევი საკითხია თანამედროვე ქართულ და აგრეთვე, მსოფლიო ჟურნალისტიკამცოდნეობაში. მოცემულ გამოკვლევაში დეტალურადაა განხილული და შესწავლილი კომპოზიციის სამი უმთავრესი ელემენტი: სათაური, ლიდი და დაბოლოება. სადისერტაციო ნაშრომი უმნიშვნელოვანესი თეორიული პრობლემის კვლევას ითვალისწინებს,